080210019002984142

საქმე №2/1075-19

5223229986942

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის თაობაზე

19 ივნისი, 2019 წელი **ქ. ქუთაისი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე მანანა ნიკაჭაძე

განმცხადებელი - შპს „თბილიქიდსი“ (ს/ნ 415095060)

წარმომადგენელი- თამუნა იზორია

მოთხოვნა: გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა კრედიტორთა პირველი კრების მოწვევის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2018 წლის 26 დეკემბერს შპს „თბილიქიდსმა“ (წარმომადგენელი თამუნა იზორია) გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 28 დეკემბრის განჩინებით განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი, ხოლო 2019 წლის 09 იანვრის, 2019 წლის 21 იანვრის, 2019 წლის 06 თებერვლის განჩინებებით გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა, რომელიც აღმოფხვრილ იქნა განჩინებით განსაზღვრულ ვადაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 14 თებერვლის განჩინებით განცხადება მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში და მოწვეული იქნა კრედიტორთა პირველი კრება, რომელიც გადაიდო განმცხადებლის გამოუცხადებლობის გამო.

შემდგომში აღნიშნული საქმე განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 მაისის განჩინებით მოწვეული იქნა კრედიტორთა პირველი კრება, რომელიც გადაიდო მოსამართლის საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის გამო.

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 25-ე, 27-ე, 30-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. კრედიტორთა პირველი კრება მოწვეული იქნეს **2019 წლის 03 ივლისს, 13:00 საათზე** ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობაში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, დარბაზი №5);

2. განჩინება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე www.matsne.gov.ge, განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მეურვეს. განჩინება ასევე გამოქვეყნდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს დაფაზე და სასამართლოს ვებ გვერდზე **www.geocourts.ge**;

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა შეუძლიათ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის №11).

მანანა ნიკაჭაძე

მოსამართლე

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=..... ...., c=GE
Date: 2019.06.21 17:54:34 +04'00'